41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს



# ძვირფასო ხაშურელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ხაშურის მერობის კანდიდატისა და ხაშურის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ხაშურის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხაშური და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ხაშურის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 7,5 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 13,2 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 11,8 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 22,3 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

2014-2021 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (92 969 ლარი, თანამონაწილეობა 37 188 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 245 ჰექტარზე განხორციელდა 132 პროექტი (ჯამურად 3 111 177 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 223 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 013 852 ლარი), რითაც 119-მა ბენეფიციარმა ისაარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 1 944 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისთვის მოქმედებს 20 კოოპერატივი (219 მეპაიე, კაპიტალი 235 230 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 20 935 508 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 523 069 ლარი), რითაც 201-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 12 პროექტი ჯამურად 339 667 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 135 738 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა და** შესყიდულია 226 710 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 113 355 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე 3 პროექტი განხორციელდა (ჯამურად 39 272 ლარი, თანადაფინანსება 18 386 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 1 281 020 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 500 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიებები**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **უახლოეს მომავალში სეტყვისგან დასაცავად შიდა ქართლი, კახეთის მსგავსად, უზრუნველყოფილი იქნება სეტყვისგან დამცავი სისტემებით.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ხაშურში დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 1 200 000 ლარი, დასაქმებულია 27 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 1 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 15 500 000 ლარი, დასაქმდა 49 ადამიანი, მუნიციპალიტეტს 20 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 404 601 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 550 615 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 64 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 26, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 38 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

შიდა ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა 2 ჰიდროელექტროსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური (ჯამური დადგმული სიმძლავრე 23 მგვტ, ინვესტიცია 38 მლნ აშშ დოლარი). **ამ ეტაპზე შიდა ქართლის რეგიონში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ენერგეტიკული პროექტები:** მეტეხი ჰესი 1 (56 500 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 36,70 მგვტ); მეტეხი ჰესი 2 (20 000 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 10,00 მგვტ); კასპის ქარის ელსადგური (78 000 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 50,00 მგვტ); ფლევის ქარის ელსადგური (46 700 706 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 34,50 მგვტ).

ხაშურის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია ჯამურად 7 885 აბონენტი.** სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ მიწობში (დამატებით 140 აბონენტი), ხოლო მომავალ წელს ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელის მოწყობა იგეგმება სოფელ სურმანიშვილისკარში (38 აბონენტი). 2013 წელს **სოფელ ღართას 20 ოჯახი ელექტროენერგიის ქსელში ჩაერთო.** სულ, ბოლო წლებში, **2 902** აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევისა და დაგეგმვის პროექტი. 2015 წლიდან დღემდე



ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის. ხაშურში ტურისტული პოტენციალის გაძლიერების მიზნით, უკვე განხორციელდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია; საქალაქო კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია; ტურისტულ ობიექტებზე საკემპინგე ადგილების მოწყობა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

**ხაშურის მუნიციპალიტეტში,** 2013-2020 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 88 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 4248 კუბური მეტრი ხე-ტყე. 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,**

გარემოს ეროვნული სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ავრცელებს ამინდის პროგნოზს და გაფრთხილებას მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ხაშურში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 25 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 5 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 3 მლნ 173 ათასი ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 14 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 025 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ხაშურის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 8 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. მიუხედავად ამისა, ქ. ხაშურის წყალმომარაგების ქსელი მხოლოდ ნაწილობრივ არის განვითარებული. შესაბამისად, მოსახლეობის დაახლოებით მხოლოდ 50% მარაგდება ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით, დანარჩენი საკუთარ ჭებს იყენებს.

- **დაგეგმილია ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციასა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი, რომლის საინვესტიციო მოცულობა 65 მილიონ ევროს აღემატება. შედეგად, ხაშურისა (მოსახლეობა 29 354) და მიმდებარე სამი სოფლის: ზემო ოსიაური (მოსახლეობა 1 384), ქვემო ოსიაური (მოსახლეობა 734) და ცხრამუხა (მოსახლეობა 1728) მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება გაუმჯობესებული 24 საათიანი წყალმომარაგებისა და გამართული წყალარინების ქსელით.**



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანისუბნამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია



### 2021-2022 წლებისთვის, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე გზის მოასფალტება – 1 485 928 ლ;
- სოფ. ნაბახტევში გზის მოასფალტება – 1 184 739 ლ;
- სოფ. სავანისუბნამდე მისასვლელი გზის მოასფალტება – 674 230 ლ;
- სოფ. ქინძათში გზის მოასფალტება – 815 000 ლ;
- სოფ. დუმაცხოვში მისასვლელი გზის მოასფალტება – 535 138 ლ;
- სოფ. რუსაანთუბნამდე ბეტონის გზის დაგება – 818 384 ლ;
- სოფ. მონასტერში ბეტონის გზის დაგება – 559 535 ლ;
- სოფ. ვაყის ხიდიდან ტკოცამდე გზის მოასფალტება – 506 883 ლ;
- დაბა სურამში (პარკის უკან) მდ. სურამულაზე მარჯვენა ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა – 490 092 ლ;
- სოფ.ახალუბანში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია – 163 678 ლ;
- ყორანქედის მონასტერში მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (სოფელი კრისხევი) – 600 062 ლ;
- დაბა სურამში მათიაშვილის ქ. მოასფალტება – 234 900 ლ;
- დაბა სურამში თაყაიშვილის ქ. მოასფალტება – 187 650 ლ;
- დაბა სურამში ამაღლების ქ. მოასფალტება – 155 377 ლ;
- დაბა სურამში სარაჯიშვილის ქ. მოასფალტება – 187 563 ლ;
- სოფ.ტაშისკრიდან ქვიშხეთამდე გზის მოასფალტება – 1 066 884 ლ;
- სოფ. ვაყაში გზის მოასფალტება – 428 000 ლ;
- სოფ.დიდ ფლევში წყლის ჭაბურღილის მოწყობა – 526 000 ლ;
- ქ. ხაშურში, რუსთაველისა და ბორჯომის ქუჩებზე არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში 5 ლიფტის რეაბილიტაცია – 152 000 ლ;
- დაბა სურამში მდ. სურამულაზე ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობა/ რეაბილიტაცია – 216 000 ლ.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# თენგიზ ჩიტიაშვილი: „უნდა იგრძნონ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათი მსახურია“

**ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება სამართლის ძიებასა და სამართლიანობის დაცვაშია. წლების განმავლობაში პროკურატურაში მუშაობდა და არაერთი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმის გახსნაში მონაწილეობდა, საინტერესო, წარმატებული კარიერა ჰქონდა.**

**„ქართული ოცნების“ ნდობითა და „ეგიდით“ პოლიტიკაში მოსვლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მშობლიური ხაშურის აღმშენებლობაში თავისი წილი აგური დადოს. ხაშურთან დაკავშირებით საინტერესო გეგმები აქვს. მზადაა, ხაშურელების სამსახურში ჩადგეს და მათ კეთილდღეობაზე იზრუნოს.**

**ხაშურის მერობის კანდიდატი თენგიზ ჩიტიაშვილი გვიამბობს, რა ემოციური კავშირი აქვს ხაშურთან და სამომავლო, მერის პოზიციიდან განსახორციელებელ გეგმებსაც გვიმხელს:**



დაიბადა 1971 წლის 25 მაისს, ხაშურში.

დაამთავრა ქალაქის №3 საშუალო სკოლა; 1993 წელს – სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო თბილისის პროკურატურაში, მოგვიანებით, ხელმძღვანელობდა დანაყოფს, რომელიც საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ორგანიზებული დანაშაულის, მკვლელობის, ნარკომანიის გამოძიებაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– განგებამ განსაზღვრა, რომ ჩემი მშობლიური ქალაქი ხაშური ყოფილიყო – 1971 წლის 25 მაისს, სწორედ ამ ქალაქში დავიბადე. ხაშურში იყო დაბადებული მამაც, იოსებ ჩიტიაშვილი, რომელიც შუშის ქარხნის დირექტორი გახლდათ, შემდეგ კვების მრეწველობის სამინისტროში მუშაობდა და ბოლოს, გარდაცვალებამდე, ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა. სამწუხაროდ, მამის გარდაცვალება ჩემი ოჯახის ერთადერთი ტრაგედია არაა – ჩემი უფროსი ძმა, დავით ჩიტიაშვილი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, 20 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. ერთი დედმამიშვილი კიდევ მყავს, უმცროსი და, მარიკა. დედა, ლეილა ჩიტიაშვილი პროფესიით ქიმიკოსია. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, 109 პროფტექნიკუმში და ა.შ. ამჟამად პენსიონერია. ხაშურის №3 საშუალო სკოლა დავამთავრე. ყველა ჩემი მოგონება ხაშურს უკავშირდება. აქ გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. ჩემი თაობის ბიჭები კარგად სწავლობდნენ, მეც მათ შორის. მყავდა საყვარელი მასწავლებლებიც და სიმკაცრით განთქმულებიც. თავგადასავლების მაძიებელი ბავშვი ვიყავი, ხან არქეოლოგობაზე და ხანაც მეკობრეობაზე ვოცნებობდი. ხშირად ძვირად მიჯდებოდა ჩემი სიცელქეები, მუდამ რაღაც ტრავმა მქონდა. ბავშვობის წლებიდან ბევრი რამ კარგად მახსენდება, ჩემი სკოლის ძველი შესასვლელი, მელნით დასვრილი თითები, ფანჯრებიდან გადაყრილი ჩანთები, უამრავი სიცელქე და სკოლის დამლაგებლებიც კი...

**– არქეოლოგობაზე მეოცნებე თავგადასავლების მაძიებელმა, პროკურორობა რატომ გადაწყვიტეთ?**

– ამ გადაწყვეტილების მიღებაში მამის მეგობარი ვალერი იოსავა და ერთი კონკრეტული შემთხვევა „დამეხმარა“. ვალერი იოსავა ხაშურის პროკურორი იყო, როცა ჩვენ ქალაქში ერთ-ერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდა. საქმის გამოსაძიებლად თბილისიდანაც მოავლინეს მისი კოლეგა სოსო ჩხეიძე, რომელიც ჩვენ სახლში ცხოვრობდა. საღამოობით, როცა სახლში დაბრუნდებოდა, ხშირად გვესაუბრებოდა თავის პროფესიაზე. ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბოლოოდ, არქეოლოგი ვერა, მაგრამ იურისტი გამოვედი. სწავლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა თბილისის პროკურატურაში დავიწყე გამომძიებლად. საკმაოდ რთულ პირობებში მიწევდა მუშაობა. უამრავი მკვლელობა ხდებოდა და ელემენტარული ინვენტარი არ გვქონდა, რომ არაფერი ვთქვა თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

**– დღევანდელი პროკურატურის მუშაობით კმაყოფილი ხართ და თქვენი აზრით, რატომ ცდილობს ოპოზიცია მუდმივად მის დისკრედიტაციას?**

– პროკურატურაში 1990-იან წლებშიც ვმუშაობდი. პარალელის გავლება სხვადასხვა პერიოდებს შორის შემიძლია. განსხვავება თვალსაჩინოა. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი პროკურატურა პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული და რაც მთავარია – არ არის პოლიტიზირებული. რაც შეეხება დისკრედიტაციას, ოპოზიცია ყველა სახელმწიფო მნიშვნელოვან ინსტიტუტს აკრიტიკებს და ამგვარად ცდილობს სრულიად ხელისუფლების დისკრედიტირებას ცდილობს. რითიც ცდილობს ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინოს.

**– პროკურატურაში მუშაობისას, ყველაზე საპასუხისმგებლო პოზიცია რომელი იყო?**

– ყველაზე საპასუხისმგებლო ალბათ ის წლებია, როცა თბილისის პროკურატურაში ვხელმძღვანელობდი დანაყოფს, რომელიც საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ორგანიზებული დანაშაულის, მკვლელობების, ნარკომანიის, გამოძიებაზე და საპატრულო პოლიციაზე; ამავე პერიოდში განხორციელდა რეფორმა. კერძოდ, მკვლელობების გამოძიებას აწარმოებდა 10 რაიონული პროკურატურა და რეფორმირების შედეგად, ჩვენ ისინი ერთ უწყებაში მოვაქციეთ, ისევე, როგორც ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკომანიის გამოძიება. ამ რეფორმის შედეგს კარგად გვიჩვენებს სტატისტიკა – 2005-2009 წლებში თბილისში ყოველწლიურად 90-100 მკვლელობა ხდებოდა, დღეის მდგომარეობით, სავარაუდოდ ამის 30%-იც არ ხდება.

**– ბატონო თენგიზ, შეგიძლიათ გაიხსენოთ საქმე, რომელიც თქვენი პროკურორობის დროს გაიხსნა და გეამაყებათ?**

– არაერთი საქმის გახსენება შემიძლია. მათ შორის, ერთ-ერთია ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობა. მისი დედა, 4 წელი ეძებდა სამართალს და ამ საქმის გასახსნელად 1 წელი დამჭირდა. დღემდე ვერ ვივიწყებ იმ შვილმკვდარ, შავოსან დედას... ძალიან ბევრი გახმაურებული მკვლელობის გახსნაშიც მიმიძღვის წვლილი, თუმცა დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

**– პროკურატურაში ასეთი წარმატებული კარიერის შემდეგ, პოლიტიკურად გააქტიურება როდის ან რატომ გადაწყვიტეთ?**

– ბევრი მიზეზის გამო, ჩემში პროტესტის განცდა ნელ-ნელა მწიფდებოდა. ეს განცდა განსაკუთრებით გამიმძაფრდა 2008 წლის „აგვისტოს ომის“ შემდეგ. პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებდი, მიუხედავად იმისა, სად ვმუშაობდი. კარგად ვიცოდი რა ხდებოდა სისტემაში, რომლის ნაწილიც ვერასოდეს გავხდებოდი, რადგან ჩემთვის მიუღებელი იყო ადამიანების მიმართ მათი დამოკიდებულება. 2011 წელსაც პროკურატურის თანამშრომელი ვიყავი, როცა ჩემმა ოჯახმა – დედამ, მე-



41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

უღლემ და დამ ხელი მოაწერეს ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნას. ოჯახის წევრების ამ ქმედების გამო სერიოზული პრობლემები შემექმნა. ამ პერიოდში ბევრ რამეზე დავფიქრდი და გადაწყვეტილებაც მივიღე. გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნების დროს, აქტიურად ვიყავი ჩართული, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზაალ დუგლაძის წინასაარჩევნო კამპანიაში, რაც მისი გამარჯვებით დასრულდა.

**– ზაალ დუგლაძის მეგობარიც ხართ. როგორ ფიქრობთ, გუნდმა ნდობა მისი ფაქტორის გამო გამოგიცხადათ?**

– ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ გუნდმა ნდობა ჩემი წარსული გამოცდილების გამო გამომიცხადა და რა თქმა უნდა, აქ იყო ზაალ დუგლაძის როლიც – მან, როგორც მეგობარმა, ყველაზე კარგად იცის ჩემი უნარ-ჩვევები.

**– ისე, ბატონ ზაალთან რა ასაკიდან მეგობრობთ?**

– რაც თავი მახსოვს, ზაალი ჩემი მეგობარია. ანუ, ვმეგობრობთ ბავშვობიდან. ჩვენი მშობლებიც მეგობრობდნენ. ერთად, ძალიან ბევრი წელი გვაქვს გატარებული და უამრავი მოგონებაც გვაკავშირებს. ხშირად მახსენდება ერთი შემთხვევა: როცა მე და ზაალი რამეს დავაშავებდით, მამამისი, დიმა დუგლაძე „გვსჯიდა“. დასჯის ასეთი მეთოდი ჰქონდა – თუ რამეს დავაშავებდით ზესტაფონში მწყერიციხეში გვიშვებდი სამუშაოდ. გვაწამლინებდა ვენახს, ვთოხნიდით ყანას... ერთხელ, მუშაობისგან დაღლილებმა, გაბრაზებულებმა, თოხები მოვისროლეთ. ერთი თოხი, შემთხვევით, დიმა ბიძიას სათანადოდ დამზადებული და სპეციალური მეთოდით შენახული შუშხუნა ღვინის, შამპანურის ბოთლს მოხვდა. იმ დღეს მე და ზაალმა კარგად მოვილხინეთ.

**– მაჟორიტარი დეპუტატის მეგობარმა ალბათ კარგად იცით, არის თუ არა ხელისუფლებისთვის რეგიონული განვითარება პრიორიტეტი და რამდენად ზრუნავს მმართველი გუნდი რეგიონების მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებისთვის?**

– რეგიონული განვითარება ხელისუფლებისთვის ნამდვილად არის პრიორიტეტი და ამ მიზნით, სახელმწიფო უამრავ პროგრამას ახორციელებს. ბევრ მუნიციპალიტეტში დასრულდა წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტი. წელს ხაშურშიც ვიწყებთ და ამ პროექტის დასრულების შემდეგ ხაშურის მოსახლეობას უწყვეტი წყალმომარაგება ექნება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხაშურში ამ მასშტაბის სამუშაოები და პროექტი, წყალმომარაგების, და წყალარინების თვალსაზრისით, არ განხორციელებულა. აშენდება წყალმომარაგების 186 კმ ახალი ქსელი, ასევე აშენდება 40 კმ წყალარინების ქსელი, არსებულს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ხაშურის მოსახლეობის 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტი ქვეყნისთვის ისეთივე მასშტაბურია, როგორიც გასულ წელს განხორციელდა ზუგდიდში, ქუთაისსა და ჭიათურაში. ამ პროექტის დასრულების შემდეგ უკვე ხაშურსაც ექნება სრულად მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტის მიხედვით აშენებული და გაუმჯობესებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები. სასიხარულოა, რომ რეგიონებს ასეთი ყურადღება ექცევა.

**– ყურადღება ხაშურში საზღვრისპირა სოფლების მკვიდრებსაც ექცევათ და როგორ პირობებში უწევთ მათ ცხოვრება?**

– წაღვლის, ჩორჩანასა და ყობის მოსახლეობა არაერთი შეღავათით სარგებლობს. ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი სწორედ გამყოფ ზოლზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების შექმნაა. გამარჯვების შემთხვევაში, მათთან ხშირი ურთიერთობა მექნება, მათი პირობების, საჭიროებების შესახებ ინფორმაციას მივიღებ და სამომავლო გეგმებსაც მათთან ერთად დავსახავ.

**– ისე, ბატონო თენგიზ, ზოგადად, რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს ხაშურელები და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?**

– მთავარი გამოწვევა უმუშევრობაა, რაც სოციალურ ფონს ამძიმებს მუნიციპალიტეტში. ამას ემატება, რიგ სოფლებში, ბუნებრივი აირის არქონა და უწყლობა. როგორც მოგახსენეთ, ამ მიმართულებით არაერთი პროექტი ხორციელდება.

სამუშაოები უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში არ იქნება ბუნებრივი აირი და 24-საათიანი წყალმომარაგება.

**– როგორ უნდა ვუპასუხოთ ხაშურის მთავარ გამოწვევას – უმუშევრობას?**

– ხაშური იყო სამრეწველო ქალაქი, დასაქმებული მაცხოვრებლებით, ქალაქი ფაბრიკებითა და ქარხნებით. ახალი კონტაქტები და ახალი ბიზნეს-პარტნიორებია მოსაძიებელი, ახალი პროექტებია განსახორციელებელი, რათა გაიხსნას ახალი, თუნდაც მინი-საწარმოები, რაც სამუშაო ადგილებს გააჩენს. ახალგაზრდებთან ერთად, უნდა განვითარდეს სპორტი და ტურიზმი. სულ მალე რაგბის ფედერაციის ინიციატივით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ხაშურში ორ ლოკაციაზე (ზემო სერი, სურამი) რაგბის საწვრთნელი ბაზის მშენებლობა დაიწყება, რაც ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას. დიდი სურვილი მაქვს ხაშურიდან სურამისკენ მიმავალ ძველ სარკინიგზო ლიანდაგს ახალი სიცოცხლე შევძინო. ეს ტურისტულადაც მიმზიდველი იქნება და რეგიონს ახალ სიცოცხლეს შესძენს.

**– თქვენ მოგეცემათ შანსი ხაშურს შესძინოთ ახალი სიცოცხლე? არჩევნებში გაიმარჯვებთ?**

– რა თქმა უნდა... აუცილებლად გავიმარჯვებ, პირველ რიგში იმიტომ, რომ წარმოვადგენ მმართველ გუნდს. მაქვს სხვადასხვა სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება. მინდა ჩემს რაიონში ჩემი კვალი დავტოვო. ხალხთან განსხვავებული, უშუალო დამოკიდებულება მექნება. მათ უნდა იგრძნონ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათი მსახურია. მე მათ სამსახურში ჩავდგები. ხაშურს ახსოვს ყველა ადამიანი, ვინც თუნდაც ერთი აგური დადო ქალაქის კეთილდღეობისათვის. მეც მინდა ერთი აგური შევმატო. მერე კი, ჩემ გაკეთებულ საქმეებზე ისაუბროს მომავალმა თაობამ.



# თენგიზ ჩიტიაშვილის დიდი ოჯახი და მთავარი მიზანი

თენგიზ ჩიტიაშვილისა და ნინო კაპანაძის სიყვარულის ისტორია ასე დაიწყო: ფერწერაზე შეყვარებულმა ბიჭმა, რომელიც დღემდე საკუთარი გამოფენის მოწყობაზე ოცნებობს, თბილისში, ქუჩაში, გოგონა შენიშნა. მოეწონა და მისით დაინტერესდა. გაარკვია, რომ საერთო ნაცნობები ჰყავდათ – მისი მეგობრის მეუღლე, ნინოსთანაც მეგობრობდა. სწორედ ამ „საერთო ნაცნობის“ ოჯახში შეხვდნენ ერთმანეთს. მერე კი, ყველა ის ეტაპი გაიარეს, რასაც ქართული ტრადიციული ოჯახების შვილები გადიან – ოჯახის წევრების გაცნობა, ნიშნობა და ბოლოს, ქორწილი.

ქალბატონი ნინო პროფესიით ხელოვნებათმცოდნეა და ცხადია, მეუღლის ნახატების პირველი შემფასებელიც.

წყვილს ორი შვილი ჰყავს. 23 წლის დათუნა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტია. 21 წლის ნუცა კი, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ჩიტიაშვილების ოჯახში რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს – კანდიდატი ცოლ-შვილით, დედა და ბატონი თენგიზის უმცროსი და.

ცხოვრების ჯანსაღ წესს ირჩევს – ყოველ დილას სკვერში ვარჯიშობს. ოჯახის წევრების ყველაზე საყვარელი დღესასწაული აღდგომაა – სიკვდილზე გამარჯვების დღე. ამ დღეს, აუცილებლად გადის მამისა და ტრაგიკულად გარდაცვლილი ძმის საფლავზე. იქ, საყვარელი ადამიანების საუკუნო სამოსახლოსთან, ხშირად მოგონებები აეშლება ხოლმე. თითქოს წარსულში ბრუნდება. თითქოს ისევ იმ ასაკშია, მშობლების რჩევა-დარიგებებს რომ იღებს და ისინიც დაუღალავად უნერგავენ სამშობლოს სიყვარულს. გადაავლებს წარსულს თვალს და მიხვდება, რატომ უჭირს ვინმეს მტრად მოაზრება – სიყვარულით გაზარდეს, კაცთმოყვარეობა და სიკეთის თესვა ბავშვობიდან ასწავლეს.

ხაშურის სიყვარული კი არავის უსწავლებია. აქ დაბადებულ-გაზრდილისთვის ეს თითქოს ბედისწერაა. ხაშური მისი ბავშვობა და მისი მომავალი სიბერეა, მისი საყვარელი ადამიანების სამოსახლო. ხაშური მამისა და ძმის საფლავია. სხვათა შორის, ძმა რომ დაიღუპა, თბილისში ცხოვრობდნენ და წამით არ დაუშვიათ მისი დედაქალაქში დაკრძალვა. ხაშურზე უზომოდ შეყვარებული ექიმობაზე მეოცნებე ბიჭი, ხაშურის მიწას მიაბარეს. მიწას, რომლის თითოეული მტკაველიც, თენგიზ ჩიტიაშვილისთვის ძვირფასია.

ძვირფასია მშობლიურ მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი თითოეული ადამიანიც. ხაშურის მერობა, მისთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. ეს გზაცაა, რომელიც ღირსეულად უნდა გაიაროს მთავარ მიზნამდე – ხაშური ისეთ ქალაქად და მუნიციპალიტეტად უნდა აქციოს, როგორზეც მისი ძმა ოცნებობდა!



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ხაშურის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 61 460 212 ლარი, დაფინანსდა 107 189 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (5 161 838,8 ლარით 309 773 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 774 498 ლარით, დაფინანსდა 61 733 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (39 682 435 ლარით 25 279 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (9 258 540 ლარით 8 841 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 741 448 ლარით 4 625 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 308 785 ლარით 4 898 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, 2017-2021 წლებში, ხაშურში დაფინანსდა 8 982 ბენეფიციარი ( 610 959 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ხაშურის მუნიციპალიტეტში,** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელია 86,1%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ხაშურში,** სტაციონარული მკურნალობით 165-მა (495 388 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 195-მა პაციენტმა (163 382 ლარი) ისარგებლა.

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ხაშურში** ანტენატალური სერვისი მიიღო 7 433-მა ორსულმა (400 087 ლ), მედიკამენტები – 1933-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტი ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ხაშურის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 177 პირი (234 007 ლარი).

2012 წლის შემდეგ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ხაშურში, 2013-2021 წლებში სულ 1 181 შემთხვევა 1 621 317 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ხაშურის მუნიციპალიტეტს 50 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში:კრისხევი (45 554l), წრომი (59 625 ლ), ალი (37 000 ლ), ფლევი (10 907l) ნაბახტევი (16 228 ლ), ცხრამუხა (9 577l); სოფლებში: ზემო ბროლოსანში, ქვემო ბროლოსანსა და კლდისწყაროში ამბულატორიის მოწყობა (39 959 ლ). დაბა სურამის პოლიკლინიკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (95 980 ლ) და არსებული ამბულატორიის სრული რეაბილიტაცია (110 000 ლ), ახალსოფელსა და პატარა სატივეში ამბულატორიის მოსაწყობად კონტეინერის შესყიდვა (თითოეული 10 561 ლ). ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ტკოცა (31 355 ლ), პატარა ბეკამი (7 435 ლ), ტეზერი (45 595 ლ) და ბროლოსანი (45 595 ლ). **დაგეგმილია:** ქვიშხეთში ამბულატორიის მშენებობა, არსებულის დემონტაჟი (50 000 ლ), ადგილობრივი ბიუჯეტი. ოსიაურში ავარიული ამბულატორიის რეაბილიტაცია (50 000 ლარი), ხცისში ავარიული ამბულატორიის რეაბილიტაცია (50 000 ლ). **დევნილთა განსახლება –** ქ. ხაშური, სააკაძის ქ. №2, ბინებად სრული რეაბილიტაცია – 1 815 544 ლარი და რუსთაველის ქ. №44-ში მშენებარე კორპუსში 1,509.99 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის შესყიდვა – 1 739 507 31

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 102,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 85,6 ათასი ლარი იყო.

**ხაშურის მუნიციპალიტეტი ჯანდაცვის მიმართულებით ახორცელებს პროგრამებს**, რომლის მიზანიცაა მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ხაშურის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები 10 858 პირია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,4-ჯერ – 12 430 034-დან 29 447 100 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 182 416 458 ლარი დაიხარჯა.

**სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. ხაშურში, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ) 273 პირია. 2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,4-ჯერ – 313 754-დან 1 371 527 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში სულ დახარჯულია 9 461 412 ლარი.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ხაშურის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 729 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ 1,7-ჯერ, 3 566 ათასიდან 6082 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე გაცემულია სულ 47 011 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 11 247 ათასი, შშმ პირებზე – 4 909 ათასი, ბავშვებზე – 16 311 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ხაშურში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 3169 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5-ჯერ – 1025 505-დან



5 130 685 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 35 623 658 ლარი.

**ხაშურის მუნიციპალიტეტში 1 197 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 308 820-დან 650 430 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი – 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 5 053 999 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან ხაშურში დაკმაყოფილდა 335 ოჯახი – 212 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 28 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 189 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ხაშურში** დაფინანსებულია 177 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 544 700 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 162 300 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ხაშურის მუნიციპალიტეტზე – 3 803 656 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1 714 ოჯახი, 2021 წელს -1 855.

**ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ხაშურიში, 2020 წელს, ისარგებლა 431 ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 472-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ხაშურში, პროგრამაში, ჩაერთო 2020 წ. 696 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 717.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება –** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1054,5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 895,2 ათასი ლარი იყო.

**ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას**, მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამას, უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამას, ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამას და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის გასავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

**ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების – საბავშვო ბაღების გაერთიანებაში 18 საბავშვო ბაღი და სამი ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფია.**

**2013 წლის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით, საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** მნიშვნელოვნად გაიზარდა ხაშურში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 637, 2 ათასი ლარით განისაზღვრა, 2020 წელს იმავე მაჩვენებელმა 2,6 მლნ ლარი შეადგინა.

**2013-2021 წლებში განხორცილდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, სულ 5 738 960 მლნ ლარი დაიხარჯა. მათ შორის:**

**2017 წელი:** ქვიშხეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება (194,4 ათასი ლარი); ქალაქ ხაშურში, ჯორჯაძის ქუჩაზე, №5 საჯარო სკოლის ფართობში საბავშვო ბაღის მოწყობა (99 689 ლარი); სოფელ ალში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (203 ათასი ლარი); სოფელ წრომში საბავშვო ბაღის მოწყობა (60,8 ათასი ლარი); სოფელ დიდ სატივეში საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება (34 ათასი ლარი); ქ. ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლებაში, №8 საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა (539 ათასი ლარი, რეგ. ფონდიდან სახ. დაფინანსებით). ქ. ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე №7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (904,3 ათასი ლარი), მუნიციპალური განვითარების ფონდი, 904 286.84 ლარი).

**2019 წელი**: სოფელ გომში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 68 ათასი ლარი; ქ. ხაშურში, მინისტარის დასახლებაში, №8 საბავშვო ბაღის კანალიზაციის გარექსელის მოწყობა (10,3 ათასი ლარი). ქ. ხაშურის № 5 საბავშო ბაღის ბაზაზე მუშაობა დაიწყო განვითარების რეაბილიტაცია-აბილიტაციის გერმანულ-ქართულმა ცენტრმა.

**2020 წელს** საბავშვო ბაღებში ელექტროენერგიის სიმძლავრის გასაზრდელად განხორციელდა ელექტროენერგიის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (44,9 ათასი ლარი). 2021 წლის დასაწყისში ბუნებრივი აირის ღუმელები ელექტროღუმელებით ჩანაცვლდა.

**2021 წელს** – საბავშვო ბაღებში ბუნებრივ აირზე მომუშავე ღუმელების ნაცვლად, დამონტაჟდა ელეტროღუმელები (დაიხარჯა 145 ათასი ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 923-დან 2006-მდე გაიზარდა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე **დღიურად 1.42 ლარამდე გაიზარდა,** გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს 18 ექიმი/ექთანი და 5 ფსიქოლოგი ემსახურება.

**სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია სკოლამდელი აღზრდის 18 დაწესებულების 18 ჯგუფში, სადაც 514 ბავშვია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში **დასაქმებულია** 64 აღ-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

მზრდელი (67 აღმზრდელის თანაშემწე), მათგან 19 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში.

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი **აღსაზრდელების ტრანსპორტირებას ახლომდებარე სოფლებიდან,** სადაც საბავშვო ბაღები არ არის. 2020 წელს პროფესიების მიხედვით გადამზადდნენ საბავშვო ბაღების 18 დირექტორი, 18 მედდა, 18 მზარეული, 11 მზარეულის თანაშემწე, 8 სამეურნეო დარგის სპეციალისტი და ერთი გაერთიანების მთავარი სპეციალისტი (სულ 74 პირი).

2021 წლის ბოლომდე **უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით** საბავშვო ბაღების შენობებზე **დამონტაჟდება ვიდეოთვალი** (30 ათასი ლარი). 2021 წლის 6 თვეში გაერთიანებაში **დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოება.** წლის ბოლომდე გათვალისწინებულია ქალაქის საბავშვო ბაღებისათვის კომპიუტერების შეძენა და აღნიშნული ბაღები ჩართული იქნებიან ელექტრონულ საქმის წარმოებაში (20 ათასი ლარი). **2021 წლის** ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების – საბავშვო ბაღების გაერთიანების დამტკიცებული ბიუჯეტით, 5 000 ლარით გათვალისწინებულია **აღმზრდელ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები** (ტრენინგების მოწყობა).

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო (მათგან ქალაქში – 9, სოფელში – 19 და დაბაში – 4) და 1 კერძო სკოლა. საჯარო სკოლებში 8051 მოსწავლე, 852 მასწავლებელი და 30 სპეციალური მასწავლებელია.** მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 140 სსსმ მოსწავლე. 15 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 34 მანდატური იცავს. ხაშურის 5 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლებს 5 ექიმი, 4 ფსიქოლოგი და 2 ინკლუზიური განათლების ასისტენტი ემსახურება.

**ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამა, მათ შორის:** პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 359 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2019 წლებში, ჩატარდა 10 სასკოლო კონკურსი, გამოვლინდა 105 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით, მათგან 2– ხაშურის მუნიციპალიტეტიდან. **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, საჯარო სკოლებში 135 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე განხორციელდა, 2017-2019 წლებში სასკოლო აქტივობების 157 პროექტი დაფინანსდა. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, 3 სკოლას 52 კომპიუტერი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 4898 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 50 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 17 პროექტი განხორციელდა.. 2015-2019 წლებში, ხაშურის საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 69 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით, 2019 წელს 14 საჯარო სკოლის (76 მიმართულება 2019 წელი, 2020 წელი 74 მიმართულება) 527 მოსწავლემ, ხოლო 2020 წელს – 508 მოსწავლემ ისარგებლა. 2017-2020 წლებში, სკოლებს, ჯამში, 1593 **სასკოლო ჟურნალი** და 169 717 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პირველკლასელებს საჩუქრად 4448 კომპიუტერი გადაეცათ, 251 კლასის დამრიგებლებს, ხოლო 435 -წარჩინებულ მოსწავლეებს. 2013-2019 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 369 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა..

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** ხაშურში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 37 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 16 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 26 საჯარო სკოლა. MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 1 (ქ. ხაშურის №9) საჯარო სკოლაა ჩართული.

**2013 წელს** განხორციელდა 5 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაზეც სულ 249,9 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 312,4 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** განხორციელდა 5 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახების მოწყობა (სულ 428,1 ათასი ლარი); **2016 წელს** განხორციელდა ხაშურის №4 საჯარო სკოლის გამაგრება (13,7 ათასი ლარი).

**2017 წელს განხორციელდა** ქ. ხაშურის №9 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია; ქ. ხაშურის №8 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 149,9 ათასი ლარი; ქ. ხაშურის №1 საჯარო სკოლის გათბობის მოწყობა/ რეაბილიტაცია (პირველი სართულის და ფასადის) – 363,8 ათასი ლარი; ქ. ხაშურის №4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სამედიცინო ოთახი/სახურავი, პანდუსი, წინაფრა/ მეორე სართულის რეაბილიტაცია) – 119 ათასი ლარი; ქ. ხაშურის №9 საჯარო სკოლის ღობის მოწყობა და სანტექნიკური სამუშაოები (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით) –261,4 ათასი ლარი. **დაფინანსდა:** სამედიცინო ოთახის მოწყობა ქ. ხაშურის №2 საჯარო სკოლაში (4,9 ათასი ლარი); სოფელ ხცისის საჯარო სკოლის გაზიფიცირება და გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (25,2 ათასი ლარი); სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა (116,3 ათასი ლარი); ქ. ხაშურის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (20,5 ათასი ლარი).

**2018 წელს დაფინანსდა:** სოფელ ფლევის საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის აღჭურვა (3,3 ათასი ლარი) და ელ. ენერგიის სიმძლავრის გაზრდა (10,5 ათასი ლარი); ქ. ხაშურის №6 საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (4,9 ათასი ლარი); დაბა სურამის №1 საჯარო სკოლაში სპორტული მოედნის მოწყობა (56,4 ათასი ლარი); ქ. ხაშურის №8 სკოლაში ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდა (7 ათასი ლარი); სოფელ გომის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა (64,2 ათასი ლარი);

**2019 წელს** სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 23 პროექტი, რაზეც, ჯამში, 1 011 639,85 ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა: სოფელ ქვიშხეთის, ცხრამუხის, ტკოცის, ხცისის, წაღვლის, ბროლოსნის, ნაბახტევის, სავანისუბნის, გომის, ბეღლითის, ტეზრის, წრომის, ოსიაური, ალის, ვაყას, ცხრამუხის, ბეკმის, დაბა სურამის №3 და №4, ქ. ხაშურის №2, 3, 4, 5, 6, 7 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

**2020 წელს** განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 14 პროექტი, ჯამში – 509 477,1 ლარი; დასრულდა სოფელ ფლევის საჯარო სკოლის მშენებლობა ( 4,5 მლნ ლარი);

**2021 წელს** სველი წერტილები მოეწყო სოფელ წაღვლის, ნაბახტევის, სავანისუბნის, ბეკამის, ალის, ცხრამუხის, ვაყის, ხცისის, ქვიშხეთის, ტკოცის, დაბა სურამის №4 და ხაშურის №2, №3, №5, №7 საჯარო სკოლებში (557,7 ათასი ლარი). **მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2 პროექტი:** სოფელ ქემფერის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (1 მლნ 792 ათასი ლარი); სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მშენებლობა (2 მლნ 411,2 ათასი ლარი); სკოლების სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარეობს დაბა სურამის №1 საჯარო სკოლის სახურავისა და სველი წერილების რეაბილიტაცია (69,5 ლარი).

## პროფესიული განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, **პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით,** ხაშურში, 2020 წელს დაიწყო თანამედროვე სტანდარტების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა, 200 სტუდენტზე გათვლილ სამსართულიან შენობაში მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მაღალტექნოლოგიური სახელოსნოები და თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი. კოლეჯი სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირთათვის. დაწესებულება სტუდენტების პირველ ნაკადს 2022 წელს მიიღებს.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით,** 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში** დაფინანსება მოიცავს შიდა ქართლის რეგიონის (გორი, კასპი, ქარელი, და ხაშური) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს შიდა ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 9 სტუდენტი. 2019-2020 სასწავლო წელს – 9 სტუდენტი,. 2020-2021 სასწავლო წელს 9 სტუდენტი.

**გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული სტუდენტების პროგრამით,** ხაშურის მუნიციპალიტეტიდან, 2020-2021 სასწავლო წელს, დაფინანსდა 14 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- **დაგეგმილია**: საბავშვო ბაღებში არსებული ინვენტარის განახლება; ქალაქის საბავშვო ბაღების შენობებში ვიდეოკამერების მოწყობა; ბ/აირის ღუმელების ელექტროღუმელებით შეცვლა; ქალაქის 6 ბაღის ინტერნეტიზაცია; 2021 წელი – სურამის ტერიტორიულ ორგანოში, ჩუმათელეთი-იტრიის ტერიტორიაზე ახალი საბავშო ბაღის მშენებლობა; 2022 წელი – სოფელ წაღვლში ახალი, 30 ბავშვზე გათვლილი ს/ბაღის მშენებლობა; 2024 წელი – 30 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ფლევში; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ხაშურში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები.დაგეგმილია სოფელ ბროლოსნისა და სოფელ წაღვლის საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაცია;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- 2022 წელს გაიხსნება ხაშურის პროფესიული კოლეჯი. 200 სტუდენტზე გათვლილი შენობა სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. შშმ პირთათვის სრულად ადაპტირებულ შენობაში მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მაღალ ტექნოლოგიური სახელოსნოები. გარდა სასწავლო კორპუსისა, სასწავლებლის ეზოში განთავსდება თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი.
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი,** რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ **ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება** (ხაშურის მხარეთმცოდნეობის, ლესია უკრაინკასა და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმები), ა(ა)იპ **ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება** (ცენტრალური, საბავშვო, დაბა სურამის, სოფ. ცხრამუხისა და სოფ. ხცისის განყოფილებები), **ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (თოჯინების თეატრი, დრამატული თეატრი, ახალგაზრდული დასი, კულტურის საქალაქო ცენტრი, სურამის კულტურის ცენტრი, ქვიშხეთის კულტურის ცენტრი, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი), **ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება** (ხაშურის, სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 374 100 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა **1 183 900 ლარი** შეადგინა.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში**. მუნიციპალიტეტში ეწყობა გამოფენები, ფოტოექსპოზიციები, იმართება პოეზიისა და თემატური საღამოები, კონფერენციები, ტარდება ლექციები, კონკურსები, მნიშვნელოვანი თარიღებისა და ღვაწლმოსილი ადამიანების საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, იდგმება სპექტაკლები, ყოველწლიურად იმართება ქ. ხაშურის დღესასწაული „ხაშურლობა“, ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაული „ლესიაობა“ და წმინდა დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ყიფიანობა“. 7 ქვეყნის დამეგობრებულ ქალაქებთან ყოველწლიურად ხდება კულტურული ურთიერთობების გაცვლა.

**2017-2021 წლებში** კულტურის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებში 738,4 ათასი ლარი დაიხარჯა; ბიბლიოთეკების განვითარებისთვის – 787,2 ათასი ლარი;

ხელოვნების განვითარების ხელშესაწყობად – 1 456 800 ლარი; მუზეუმების განვითარების ხელშესაწყობად – 923,7 ათასი ლარი; სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროსათვის (სამუსიკო სკოლები) –1 124 000 ლარი; **2021 წელს სამუსიკო სკოლებში (465 მოსწავლისათვის) განათლების მიღება გახდა უფასო.**

**2015-2021 წლებში,** სამინისტროს ხელშეწყობით, **დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით,** ხორციელდება პროექტი, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში, დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო აქტივობების განხორციელებას ითვალისწინებს.

**2013-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** სურამის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია (72,1 ათასი ლარი); ხაშურის კულტურის სახლისთვის რკინის კარისა და ფანჯრების შესყიდვა-მონტაჟი (22,6 ათასი ლარი); ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (57,6 ათასი ლარი); ხაშურის მუზეუმის შიდა ოთახის მოწყობა (2,1 ათასი ლარი); ხაშურის ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია (23,6 ათასი ლარი); ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (215 ათასი ლარი); ცოცხნარაში კულტურული ცენტრის მოწყობა (14 ათასი ლარი); გომში, სოფლის ცენტრში არსებული ძველი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მოსაწყობად (23,6 ათასი ლარი); ცხრამუხაში ბიბლიოთეკის მშენებლობა (32,5 ათასი ლარი); ხაშურის კულტურის სახლში განხორცილედა გარე და შიდა ქსელების გაზიფიცირების სამუშაოები (10 ათასი ლარი). ასევე:

**2013 წელს** განხორციელდა ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთება (161 ათასი ლარი) და გათბობის სისტემის მოწყობა (38,3 ათასი ლარი);

**2015 წელს** განხორციელდა ქალაქ ხაშურის ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია – 23,6 ათასი ლარი; ქალაქ ხაშურში მუზეუმის შიდა ოთახის მოწყობა – 2,1 ათასი ლარი; ქალაქ ხაშურში საქალაქო კულტურის სახლისათვის მეტალოპლასტმასის ფანჯრების შესყიდვა-მონტაჟი – 3,9 ათასი ლარი;

**2016 წელს** განხორციელდა: ქალაქ ხაშურში კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 215 ათასი ლარი; სოფელ გომის ცენტრში არსებული ძველი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობა – 23,7 ათასი ლარი; დაბა სურამის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია – 82,6 ათასი ლარი; სოფ. ცოცხნარაში კულტურის ცენტრის მოწყობა – 13,9 ათასი ლარი;

**2017 წელს** განხორციელდა სოფ. ცხრმუხის ბიბლიოთეკის მშენებლობა (23, 8 ათასი ლარი); დაბა სურამში სამუსიკო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობა – 14,1 ათასი ლარი; ქ. ხაშურის კულტურის სახლში გარექსელის და შიდაქსელის გაზიფიცირების მოწყობა – 10 ათასი ლარი;

**2018-2019 წლებში,** რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით, სოფელ ქვიშხეთში განხორციელდა წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია (855 ათასი ლარი).

**2019 წელს:** განხორციელდა კულტურის სახლისათვის რკინის კარის შესყიდვა-მონტაჟი (18,7 ათასი ლარი). ასევე, ქალაქ ხაშურში, ლომოურის ქუჩაზე, მუზეუმისთვის ფონდსაცავის მოწყობა (133,9 ათასი ლარი); სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის დაზიანებული სახურავის კრამიტის ფენილის აღდგენა და მუზეუმის ბუნებრივი არის ქსელზე მიერთება – 1,5 ათასი ლარი;

**2020 წელს** ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე **აშენდა** ტურისტული საინფორმაციო ცენტრი – 69,3 ათასი ლარი;

**2021 წელი: მიმდინარეობს** სურამის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის მშენებლობა (1 მლნ 220 ათასი ლარი); 2018 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (600 ათასი ლარი);

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა:** ნაბახტევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რესტავრაცია (47,3 ათასი ლარი,); ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (50 ათასი ლარი,); ა(ა)იპ „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანება – დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის“ სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება (25 ათასი ლარი,); ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის მე-3 ეტაპი (49,7 ათასი ლარი,); ა(ა)იპ „ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ გზამკვლევის გამოცემა (4,9 ათასი ლარი).

**2019 წელს განხორციელდა:** სოფელი წრომი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება; ნაბახტევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობისა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოები; სურამის ციხის არქეოლოგია; ნაბახტევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობისა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოები (70 ათასი ლარი);

**2020 წელს:** დაბა სურამი, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (I – II ეტაპი 68, 8 ათასი ლარი); დასრულდა სურამის ციხის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობით (39 999,64 ლარი);

**2021 წელს** მიმდინარეობს ლესია უკრაინკას მუზეუმ-ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია (III ეტაპი– 193,5 ათასი ლარი);

ხაშურის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტი – **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას. **ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს, იგეგმება ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა.**

## სპორტი

**ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა.**

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები 760 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 299,2 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: ძიუდო, სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ბატუტზე ხტომა,**



ძალოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, რაგბი, ფეხბურთი და ჩოგბურთი.**

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი: 2014 წელი** – ცხრამუხაში სპორტული მოედნის შეღობვა (28,5 ათასი ლარი); ალში სპორტული დარბაზის იატაკისა და სანიტარული კვანძის მოწყობა (21 ათასი ლარი); დიდ ფლევში მინისტადიონის მოწყობა (15,7 ათასი ლარი); ქვემო აძვისსა და პატარა სატივეში მინი სტადიონების მოწყობა (10,3 ათასი ლარი); **2015 წელი** – ხაშურში გაგარინის, ფარნავაზისა- და ბორჯომის ქუჩებზე მინი სტადიონების რეაბილიტაცია (77,6 ათასი ლარი); ხცისში საფეხბურთო მოედნის მოწყობა (52,9 ათასი ლარი); **2016 წელი** – ხაშურის მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (61,8 ათასი ლარი); სოფელ ბრილში მინისტადიონის მოწყობა (52,9 ათასი ლარი); ქემფერსა და ბიჯნისში სტადიონების შეღობვა (სულ 13,8 ათასი ლარი). ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონები მოეწყო: ქ. ხაშურში, ლესელიძისა (57,8 ათასი ლარი) და სარაჯიშვილის ქუჩებზე (61,9 ათასი ლარი); სოფელ ბროლოსნის სპორტული (საჭიდაო) დარბაზის მოწყობა – 14,7 ათასი ლარი.

**2016-2017 წლებში** აშენდა სპორტკომპლექსი, რომელიც მოიცავს კალათბურთის, საჭიდაო, სატრენაჟორო და ძალოსნობის დარბაზებს; კომპლექსის ეზოში მდებარეობს საფეხბურთო მოედანი და ჩოგბურთის კორტები. კომპლექსში ფუნქციონირებს სასტუმრო (პროექტის საერთო ღირებულება 2 მლნ 922 ათასი ლარია, რეგ. ფონდის დაფინანსებით);

**2017 წელს:** სპორტული მინიმოედნები მოეწყო ქ. ხაშურში, თევდორე მღვდლისა და 9 აპრილის ქუჩებზე (ჯამურად 109,2 ათასი ლარი, რეგ. ფონდის დაფინანსებით); სოფელი ქინძათში – 47,2 ათასი ლარი; ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლებაში არსებული მინისტადიონის რეაბილიტაციასა და დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მინიმოედნის მოწყობაზე 93 ათასი ლარი დაიხარჯა; დაბა სურამში, ცენტრალურ სტადიონზე სპორტსმენებისთვის გასახდელებისა და სველი წერტილების მოწყობა (43,5 ათასი ლარი); დაბა სურამში იტრიის დასახლებაში მინისტადიონის რეაბილიტაცია (6,2 ათასი ლარი(; სოფელ ქინძათში მინისტადიონის მოწყობა – 46,5 ათასი ლარი;დაბა სურამსა (ჩუმათელეთის დასახლებაში) და სოფელ ხცისში მინისტადიონის მოწყობა – 103,2 ათასი ლარი.

**2018 წელს:** ქ. ხაშურში სპორტკომპლექსის დარბაზების კეთილმოწყობა, საჭირო ინვენტარის შესყიდვა და შენობაში გაზმომარაგების შიდა ქსელის მოწყობა – (433,9 ათასი ლარი); სოფელ ქვიშხეთში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი – 47 ათასი ლარი; სოფელი ცხრამუხაში მოეწყო კომბინირებული კონტეინერი, რომელშიც განთავსებულია გასახდელები, მსაჯის ოთახი, სველი წერიტილები – 47,2 ათასი ლარი; სოფელი გომში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი – 45,8 ათასი ლარი;სოფელ ალის საჭიდაო დარბაზში იატაკების რეაბილიტაცია – 22,1 ათასი ლარი; ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინისტადიონების მოწყობა – 47 ათასი ლარი;

**2019 წელს** ქალაქ ხაშურში: ვეფხვაძეების უბანში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი – 59,2 ათასი ლარი; ტაბიძის ქუჩაზე არსებული მინისტადიონს ჩაუტარდა რეაბილიტაცია – 73,5 ატასი ლარი; ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მოეწყო მინისტადიონის, სკვერი და ბავშვთა გასართობი კუთხე – 72,4 ათასი ლარი; პუშკინის ქუჩაზე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი – 48,2 ათასი ლარი. სოფელი ახალსოფელში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი – 46,6 ათასი ლარი; სოფ. ბულბულისციხეში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, დაფინანსდა სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოები – 13,3 ათასი ლარი;



**2020 წელს** ახალი მინისატადიონები აშენდა ქ. ხაშურში, ოქტომბრისა და გორგასლის ქუჩებზე, დაბა სურამის ზინდისის დასახლებაში, სოფელ მცხეთიჯვარსა და ნაბახტევში (399 917 ლარი);

ქ. ხაშურში გარეგამოყენების ტრენაჟორები დამონტაჟდა „შინდარის“ და „შუშის ქარხნის“ დასახლებებში, ასევე ბორჯომისა და ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე (90,3 ათასი ლარი);

**2021 წელს** ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე, **აშენდა** ახალი მინი სატადიონი (99,9 ათასი ლარი); ახალი მინისატადიონები აშენდა სოფელ წრომში, ბეკასა და ოსიაურში (206,2 ათასი ლარი); 2019 წელს დაიწყო და **მიმდინარეობს** ცენტრალური სტადიონის მშენებლობა-რეაბილიტაცია ქ. ხაშურში – პროექტის ღირებულება 6,5 მლნ ლარია, ხორციელდება „მსოფლიო ბანკისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით **(მგფ).**

2013-2018 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 5 შიდაჩემპიონატი (17,1 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,6 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის ხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (5,1 ათასი ლარი).

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა – ძეგლების რესტავრაცია/დასუფთავება, ხაშური-სურამის ეპარქია (სულ – 150 ახალგაზრდა); „არა – სიძულვილის ენას!“ კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები ხაშურის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა მონაწილეობით; რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით „სკაუტური ბანაკი“, ატენის ხეობა, სოფელი ბოშური (2-2 ახალგაზრდა 7 რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან). რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით ლაშქრობების მოწყობა (რეგიონის მასშტაბით, 3-3 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2017-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ჩართულობით, ხორციელდება სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 100%–იანი დაფინანსებით ჩარიცხულ სტუდენტებზე გაიცემა წამახალისებელი ჯილდო. შშმ პირთათვის ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, ფასიანი საჩუქრებით. ეწყობა საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკები. 2017-2020 წლებში ახალგაზრდულ ღონისძიებებში 224,6 ათასი ლარი დაიხარჯა. 2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯები 38 500 ლარით განისაზღვრა.

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში (მათ შორის – ხაშურის მუნიციპალიტეტში) სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობას განახორციელებს;
- ხაშურში ისტორიული კოშკის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა დაბა სურამში სურამის ციხის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია;
- ხაშურის თოჯინების თეატრის სახურავის რეაბილიტაცია;
- ხაშურში მუზეუმის მშენებლობა;
- დაბა სურამში ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია – 1 მლნ 800 ათასი ლარი;
- ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის რეაბილიტაცია – 143 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია რაგბის სტადიონის რეაბილიტაცია დაბა სურამში;
- სურამის ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

ხაშურში დავიბადე და გავიზარდე, აქ გავატარე ჩემი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი. შესაბამისად, ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი თქვენგანისთვის, დიდი პასუხისმგებლობაა, ვიბრძოლო იმ ქალაქის მერობისთვის, რომელიც მშობლიური და განსაკუთრებით ძვირფასია.

გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ „ქართული ოცნების“ ნდობასა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დასახელებას ღირსეულად ვუპასუხო. მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციით, ხაშური მეტად წარმატებულ მუნიციპალიტეტად ვაქციო.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მიმართულებით არაერთი პროექტი უკვე განხორციელდა და აქ არსებული ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ იმ გუნდს შეუძლია, რომლისთვისაც რეგიონების განვითარება პრიორიტეტულია და რეალური რესურსი აქვს, ხაშურელების ხვალინდელი დღე იმაზე უკეთესი გახადოს, ვიდრე დღესაა.

მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, ხაშური უფრო კომფორტული, ლამაზი და ეკონომიკურად ძლიერი გახდეს.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.